ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3092526

ნომერი: AR1477212

თარიღი : 08.02.2017

გაცემის თარიღი : 13.02.2017

გაცნობის თარიღი : 13.02.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ლესელიძე , N 15 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი აბაშიძე პ/ნ 01031003397
- თბილისი ს.ჩიქოვანის ქ. N 20 ბ. 104

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ლესელიძის ქ. N15–ში, სამშენებლო ღობის მოწყობასა და შენობის სამშენებლო ბადით შეფუთვის, როგორც I კლასის სამუშაოებზე, წერილობითი თანხმობის გაცემას.

გაცნობებთ, რომ სამუშაოები, რომლის განხორციელებაზეც ითხოვთ I კლასის წერილობითი თანხმობის გაცემას, გათვალისწინებული უნდა იყოს 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 61–ე მუხლის შესაბამისად შედგენილ მშენებლობის ორგანიზაციის პროექტში და არ შეესაბამება I კლასს დაქვემდებარებულ შენობა–ნაგებობებს, შესაბამისად სამსახური თქვენს მოთხოვნას I კლასის სამუშაოებზე წერილობითი თანხმობის გაცემის შესახებ ვერ დააკმაყოფილებს. დამკვეთი ვალდებულია იქონიოს მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე და მასში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში აღნიშნულის შესახებ უნდა ეცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს, ხოლო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამუშაოების წარმოების შემთხვევაში მოპოვებული უნდა იქნეს სსიპ ქონების მართვის სააგენტოს შესაბამისი თანხმობა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.